

საერთაშორისო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტისა და პროლეტარული კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ФУЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 იანვარი, სამშაბათი, 1989 წელი № 2 (9919) • შპსი 8 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან


მოვალეობისადმი პასუხისმგებლობა

ვფიქრობთ, სათაურში გამოტანილი სიტყვების შემცველი აზრი ყველასათვის ნაცნობია. არ გვეგულება დარგი და სფერო, სადაც მოვალეობისადმი თითოეულის პასუხისმგებლობა უმთავრესი საკითხი არ იყოს. სხვაგვარად არც შეიძლება, ხომ ნათქვამია: არ არსებობს დიდი და მცირე საქმე, მთავარია, როგორ ასრულებ შენს მოვალეობას. ჩვენთვის, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებისათვის უდიდესი პატივია ვემსახუროთ ხალხის კეთილდღეობას, მათს ჯანმრთელობას, დიდი სპორტის მეშვეობით ურის საუკეთესო თვისებების, მისი ავტორიტეტის წარმოჩენას და განმტკიცებას. საერთაშორისო არენაზე, დიდი ილია ამბობდა: „ვინც ორი მარცვლი მოიყვანა იქ, ხაცა მანამდე მარტო ერთი მარცვლი მოდიოდა, იგი ერთს უდიდეს სამსახურს უწევს კაცობრიობას“. ამ სიტყვებში ჩვენც საკუთარ მოწოდებას და მოვალეობას ვხედავთ. უდავოა, შეგვწევს უნარი და უნდა შევძლოთ კიდევ, რომ გავაორმაგოთ და ვავამრავლო ჩვენი წარმატებები, ახალ სიმაღლეზე ავიყვანოთ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა. დღეს წარსულის გადმონაშთად მიგვჩანს საქმის აღმშენებელი-მშრომელი მეთოდით გაძლიერება. აღმშენებლის უნარს, პირად ინიციატივას, საქმისადმი თავდადებას ახლა უკვე ჩვენი პატივს მიაგებენ. ამგვარ ურთიერთობაზე ავტობუსი მუშაობს დღეს ჩვენს სფეროშიც. აღამაყანს ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა, მომთხოვნელობასთან შეხამებული ნდობა, უკვე იძლევა სასურველ შედეგებს და მომავალში არ შეიძლება მტკიცე არ ველოდეთ.

მოვალეობისადმი პასუხისმგებლობა უკვე ჩვენს ყველა რგოლში — საბოლოო ჯამში ეს არის საერთო ენოთუზიაში, საერთო ენერჯია, ერთი ოჯახის საერთო თავდადება, რომელმაც უთუოდ უნდა მიგვიყვანოს სასურველ მიზნამდე — რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ახალ აღმავლობამდე. დღეს ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი, განსაკუთრებით ფიზკულტურული და სპორტმასობრივი მუშაობის სფეროში. პირდაპირ უნდა ითქვას: მოძველდა მუშაობის ფორმები და მეთოდები ფიზკულტურულ კოლექტივებში. რით ვუპასუხებთ გარდაქმნას? შეიძლება თამამად ითქვას, ჭრჭერობით, სრული უმოქმედობით. ფიზკულტურულ კოლექტივებში ან ძველებურად (შეტწილად ფიქტიურად) ვუბლით ხარკს ფიზკულტურას და მასობრივ სპორტს, ან საერთოდ არავის აწუხებს იქ რა ხდება. იშვიათად გვხვდება, რომელიმე რაიონში, თუნდაც ქალაქში, ამა თუ იმ შრომითი კოლექტივის ფიზკულტურული მუშაობის საკითხი ხელმძღვანელი ორგანოების მსჯელობის საგანი გამხდარიყოს და მუშაობის ჩაშლისთვის ხერხი უნდა გავიყვანოთ დაწესებულების თავაკები. არადა, ყველაფერი ფიზკულტურული კოლექტივიდან იწყება. მშრომელთა წინაშე ვალში არიან ჩვენი მეცნიერები, სპეციალისტები, სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელები, გენგაბი, ჩვენი ოლმპიური და მსოფლიო ჩემპიონებიც კი. მოვალეობისადმი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაღალ ინსტანციებში არ უნდა იგრძნობოდეს. ახალი წლის პირველსავე დღეებში ამ საკითხზე შეთხვევით არ ვამახვილებთ ყურადღებას. ვასული წლის შედეგების ანალიზი მოითხოვს ვიყოთ ობიექტური — წარმატებებს ჭეროვანი მივაგოთ, მაგრამ ნაკლოვანებებსაც გაგუსწოროთ თვალი. მოვალეობისადმი პასუხისმგებლობა ყველა საქმეში, ყველა რგოლში, ყველა მუშაკში — აი, რა არის ჩვენი უმძღვანელო წინსვლის მძლავრი სტიმული და რეზერვი. ამ რეზერვის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება.

გამარჯვება საზონის პოლოს

ბასულ წელს საქართველოს სპორტსმენებმა ბევრი სასახელო გამარჯვება მოიპოვეს. მათ შორის ერთ-




ერთი უკანასკნელი იყო თბილისე-ლი სტალინის ოლეგ სტრიაკოვის („დინამო“) წარმატება კროსში საქართველო თასის გათამაშებაზე, აშხაბადში გამართულმა შეჯიბრებამ ჩვენი ქვეყნის სამასამდე უძლიერეს მორბენალს მოუყარა თავი. სამთავრი მძლეოსანთა სეზონის პიკი არ გახლავთ, მაგრამ გამარჯვებულთა შედეგები მაინც ძალზე მაღალი იყო. სასიხარულოა, რომ ოლეგ სტრიაკოვმა შესანიშნავი დრო აჩვენა 12-კილომეტრიან დისტანციაზე (35.42.0), რითაც დაადასტურა, რომ იგი კვლავ რჩება უძლიერეს სტალინელ ჩვენს ქვეყანაში. სხვა დისტანციებზე გაიმარჯვეს ტირასპოლელმა ოლეგ ბოგდანოვამ, ივანოფრანკოვსკელმა ვლადიმერ შერშენიუქმა, ჩებოტსარელმა ლარისა ალექსეევამ, უფელმა რაჯილ კრიულინმა, ულანუდელმა ტატიანა პოზდნიაკოვამ, დნეპროპეტროვსკელმა ვლადიმერ ჩესაკმა და მისკოველმა ვლადიმერ პეტროვმა.

სურათზე: ოლეგ სტრიაკოვი.



სან-პაულუ. ახალი წლის პირველ შეჯიბრებამ ითვლება სან-პაულუს ცნობილი სახალწლო გარბენი „კორიდა სან-სილვესტრე“, მორბენლები ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე იღებენ სტარტს და უკვე ახალ წელს წაიდას ამთავრებენ რბენას. ბევრია ამ პოპულარულ შეჯიბრებაში გამოსვლის მსურველი, ოღონდ პრიორიტეტი, ცხადია, მაინც მასინსტრეს-სამხრეთამერიკელს ეკუთვნის. თან იქ ამ დროს საზაფხულო სპორტული სეზონია და უკეთესი მომზადების წყალობით ჯობიანს სახელოვან ევროპელ სტაიერებს.

ახლაც ასე მოხდა. ქალაქის ქუჩებში 12-კილომეტრიანი დისტანცია გააფთა შორის ყველაზე სწრაფად გაიბრინა კოლუმბიელმა რო-



ლინკოლინი. ჩვენი ქვეყნის კალათბურთულ ვაჟთა ნაკრებმა აგერ უკვე მესამე სახალწლო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. პირდაპირ საკვირველი შედეგით დამთავრდა მისი შეხვედრა შოტლანდიის კლუბ „მიურეი ლიგინსტონთან“. საბჭოთა სპორტსმენები დამარცხდნენ — 66:72, ამასთან იყო დრო, როდესაც ისინი 15-ზე მეტი ქულით ჩამორჩებოდნენ მეტოქეებს.

პარპოლინი. პარიზ-დაკარის საავტომობილო რალის პროლოგში ბელგიელმა ჩეკი იქსმა მეორე ადგილი დაიკავა. შემდეგ ტურნისში მან მოიგო რბოლა 309 კილომეტრზე და ხელთ იგდო ლიდერობა. მოტოციკლისტთა შეჯიბრებაში დაწინაურდა იტალიელი კლაუდიო ტერუცი.

პასუხი „ლელოს“ კრიტიკა საპარტლიანია

თქვენი გაზეთის 1988 წლის 22 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა სხვა რაიონებთან ერთად თიანეთის რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, გაცნობებთ, რომ კრიტიკა სამართლიანია.

ვასული წლის ივნისის თვეში საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიონის ზიურომ იმსჯელა რაიონის ფიზკულტურულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ



ახალი წლის დადგომა ყველაზე მეტად ნორჩებს ახარებთ. ზამთრის მოსწავლეთა არდადეგების დღეებში ჩვენი საუკეთესო სპორტული არენებიც მოწვევით მოწოდებს ეთმობათ. ტრადიციისამებრ ახლა დიდი სახალწლო ნაძვისხე დგას თბილისში „დინამოს“ სტადიონზე და სპორტის სასახლეში. ფოტოსურათები, რომელსაც აქვე ვთავაზობთ „ლელოს“ ფოტორეპორტიორმა აღექსანდრე კოტორაშვილმა გუშინ გადაიღო „დინამოს“ სტადიონზე და სპორტის სასახლეში. ნაძვისხესთან ნორჩების ზეიმი აქ რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

მეორე ადგილზე — ევროპაში

ბელგრადის გაზეთ „სპორტის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა ევროპის ქვეყნების ნაკრებთა შორის 1988 წლის სპორტულ სეზონში. ჩვენს გუნდს 276 ქულა აქვს, ხოლო პირველ ადგილზე მყოფ პოლანდიელებს — 350 ქულა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 70 ოუგოსლავიელმა და უცხოელმა ჟურნალისტმა.

გარდა ამისა, „სპორტმა“ დაასახელა ევროპის სიმბოლური ნაკრებიც, რომელშიც 4 საბჭოთა ფეხ-



რამაზ შენგელია ერთ-ერთი უკანასკნელი მომხიანია ჩვენი „დიდი გუნდის“ 70-იანი წლების თბილისის „დინამოსი“, რომელიც ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მაღალ მწვერვალს მისწვდა. არც ისე იოლია შეეფიქროს აზრი, რომ ასეთმა სპორტსმენმა ვეტერანთა რიგები უნდა შეაფხოს. მაგრამ დრო სწრაფმავალია და უმლობელი, განსაკუთრებით — სპორტსმენებისათვის. რამაზ შენგელია მადის დიდი ფეხბურთიდან...

იხ. შპ-ს 23.

ნ. შავლიაშვილი, საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიონის პირველი მდივანი.

ოდან განთავისუფლებული იქნა აგრეთვე პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შემდგომში პარტიის რაიონული კომიტეტი სისტემატურ ყურადღებას დაუთმობს რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაგრძელებას საკითხებს.

ამ ათი წლის წინათ, 1979 წლის 1 იანვარს „ლელოში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელთან, 22 წლის რამაზ შენგელიასთან.

ახლა რამაზ შენგელის 32 წელი უსრულდება. ქართული ფეხბურთის გულშემოტიკართა სახელით გვინდა მიუთვლიოთ მას ახალი წელი, დაბადების დღე.

როგორ იმედები გამემართლებინა. თუ ასეთ დამოკიდებულებას გამოიჩენს თითოეული ფეხბურთელი თავისი საქმის მიმართ, მაშინ „დინამო“ დაბრუნებს დაკარგულ პრესტიჟს.

როგორც „ლელოს“ დიდოსტატს, რა მიგანინათ ახლანდელ „დინამოში“ გოლის დეფიციტის მიზეზად?

— გოლს გუნდი, კოლექტივი ამახადებს და ერთ კაცს გააქვს იგი. ძლიერ გუნდში გოლის დეფიციტი არ იქმნება, თუმცა ბომბარდირი მინც საჭიროა. იმდროინდელი „დინამოს“ მოწინააღმდეგეებს დიდი საფიქრალი ჰქონდათ, არ იცოდნენ, ვინ „ჩაეკეტათ“ — ყიფიანი, გუცაივი, სულაქიძე, დარასელია, ჩიკაძე... ახლა ბურთი ხშირად შემთხვევით გადის და მას ის ფასი აღარ აქვს.

რას ნიშნავდა თქვენთვის გოლის გატანა? — სიხარულს, სიამაყეს, სილაღეს. თითქმის ფრთხილად გამოემსვენებოდა და მეც ამ ყველაფერს მაღლა შეხტომით გამოეხატავდი. და თუ გოლს ვერ გაიტანდი, ისევე ჩემს თავს მოგაკლებდი ამ ბედნიერებას.

ყველაზე მეტად რომელი გოლი დაგამახსოვრდა?

— 1978 წელს „სპარტაკს“ ვეთამაშებოდი სეზონის გასსაწი. იმათი მექარე პაროროვი წინ იყო გამოსული, ბურთი საჯარიმო ხაზიდან თავს ზევიტ გადმოვიშვე და ცხრიანში მოვარტყი.

რომელ დღეს თქვენს სპორტულ ცხოვრებაში და რომელმა უფრო დაგვრჩია გული?

— ზობათ, ყველა, ვინც ჩემთან ერთად თამაშობდა, 1981 წლის 13 მაისს დაასახელებდა. ეს იყო ერთი აუწყრელი სიხარული. პირველი გოლი ჩვენს კარში გაიდა, ასე მეგონა გული მომეყვდა და საღდაც ჩაიკარგა. ყურები ჩამოვყარე. შემდეგ ბედმა ჩვენს წისკილზე დაასხა წყალი. მარტო იმ ერთი დღისათვის დიდა ცხოვრება.

1983 წელს კი „სპარტაკს“ ვეთამაშებოდი შინ. ეს იყო უკვე დიდ მასაგის დასაწყისი. ის 3:0 წყავდა. გასახდელში შევკლასალი, მისსურვილი გავიხადე და ცრემლებზეც თავისით იპოვეს ზეზ.

რამაზ, როგორ გგონიათ, სპორტმა უფრო მეტი მოგცათ თუ წაგართვათ?

— დიდ სპორტში შეწირვის გარეშე ვერაფერს მიაღწევ. რომ მიიღო, უნდა ვაიღო კიდევ.

საზღვარგარეთ 82 წლის ასაკის სპორტსმენები, თუ შეიძლება ასე ითქვას, აყვავების პერიოდში არიან. თქვენ კი უკვე დათხოვნივით სპორტს. რატომ? ნადარევი ხომ არ არის თქვენი გადაწყვეტილება?

— არა. ფეხბურთიდან წასვლა მტკიცედ გადაწყვიტე. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ წელს ავტოავარიამი მოუყვი. თან იცით, რამაზ საქმე? მე ძალიან რთული ამოცანის შესრულება მიწევდა. შეიძლება ეს გარეგნულად არც ჩანდა, მაყურებლისათვის შეუძნეველი იყო, მაგრამ დიდ ენერჯის გახარჯადი — გასსაწი, გარბენები...

ამასთან ერთად, მე ყოველთვის მქონდა წონის პრობლემა. ამანარმა თამაშში ამომწურა, გამომიტყა. არ მინდა, რომ აღმინებმა, რომლებსაც მოსწონდათ ჩემი თამაში, სტრეინთ გამაცილონ მინდვრიდან. მით უმეტეს ჩემზე მაყურებლის რეაქცია მოქმედებს.

თქვენ ბოლო წელიწადი მაცურებელია სკამზე ვაატარეთ. როგორ ფიქრობთ, თამაში უფრო ძნელია თუ მისთვის ტარიბულიდან თვალის დევნება?

— რაც „მაყურებელ“ გავხდი, ვეღარ ვამტყუნებ გულშემოტიკარს. იგი სტადიონზე ლამაზი თამაშის საყურებლად მოდის, შენ კი უხე-

რატომ არ უნდა იყოს ახლანდელ ნაკრებში თუნდ ერთი ქართველი ფეხბურთელი? ამაზე ძალიან მწყყდება გული.

ნაკრებიდან რა დავამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— 1979 წელს ჩვენს მოკვლეულ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. ორივე გოლი მე გაიტანე.

რამაზ, გვიან გვეითებით, მაგრამ იქნებ გაიხსენოთ თქვენი მოსვლა ფეხბურთში.

— როგორც ყველა პატარა ბიჭმა, მეც ქუჩის ფეხბურთით დაიწყო. პირველი მწვრთნელი პირდაპირ ლეგენდარული კარლო ხურციძე იყო. ამ კაცს ფეხბურთი მხო-

ახლა ვეგრავი ჩემთვისაა პირდაპირ, თუმცა ავარიის შემდეგ სახსრები ვიდეო მწვრთნელს შევარჩინე ვარა მწვრთნელმა არა მხოლოდმა ვაგვიჩვენა? ალბათ, პროფერატურაში წავალ სამუშაოდ. მე ხომ იურისტის დიპლომი მაქვს და კაპიტნის ხინე. ისე, რა ბედნიერი ვიყავი ადრე, დილით ავღებოდი, ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა. ახლა, ძველი და ახალი ცხოვრების გასაყართან, ცოტა არ იყოს, დაბნეული ვდგავარ.

რამაზ, ცოტა რამ თქვენი პირადი ცხოვრების შესახებ მოუთხრეთ მეგობრებს.

— 1977 წელს დაქორწინდი ჩემს საყვარელ ადამიანზე — ლია ბაბუნაშვილზე. 1979 წლის 30 იანვარს ვაქი შეგვეძინა — გიორგი. ეს დღე უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში. გიყავს ხუთი წლის ქალიშვილი — ნატა. ჩემი მეუღლე პედაგოგია. გიორგი 166-ე საშუალო სკოლის IV კლასში სწავლობს, ფრიადოსანია. ვარჯიშობს „დინამოს“ ბაგეშვიას სკოლაში. ნატა ვერ პატარაა, მაგრამ გვიბრუნდა, რომ სკოლაშიც კარგად ისწავლის და თან ტანვარჯიშზე სიარულს გვთხოვს. ჩვენს ოჯახში არაფერს უფროსობს. ურთიერთობა გავგებამა და ერთმანეთის პატივისცემაზე გვაქვს დამყარებული.

მეყავს დედა და ძმა, რომლებიც ქუთაისში ცხოვრობენ. მამა სამი წლის წინ დაემუღუბა. ძალიან განვიცადე. მთელი ჩემი ცხოვრება მისი მოვალე ვიყავი.

მასხოვს, 10 წლის წინანდელი ინტერვიუში თქვენ ვფიქრობდა ნატარადი და ამბობდით: „და თუ ვაქი შემეძინება, ვისურვებდი, ისიც ფეხბურთელი ყოფილიყო, როგორც, საუკეთესო ფეხბურთელზე ცოტა უფრო მეტი“. ახლა რას უსურვებთ 10 წლის ვაჭარს?

— ახლაც იგივე ნატარა მაქვს — გიორგი მანახა „დინამოს“ შემადგენლობაში. იცით, გიორგის თამაში რომ ვუყურებ, მასში ვხედავ რაღაც ჩემსებს — ბურთის ტარებაშიც, დარტყმაშიც, გოლის გატანისას სიხარულის გამონატარება.

რამაზ, აღამაზნი რას აფასებთ ყველაზე მეტად? — სიკეთეს. და მე მთელი გულით ვეთანხმები ბრუნებს: „ყველა სიკეთე, რაც არსებობს დედამიწაზე, უთქმელად უნდა ეკუთვნოდეს მას, ვინც სიკეთეს, სიკეთეს სიკეთეს თესავს“.

და თუ სიკეთისმქმნელი ზოგჯერ მარცხდება?

— მე მაინც ის დამარცხებული სიკეთისმქმნელი მირჩევია გამარჯვებულ ბოროტმოქმედს. ჩემი სპეციალობაც ხომ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაა. მე მჭამს სიკეთისა და მჭერა, რომ იგი ყოველთვის გაიმარჯვებს.

...კიდევ დიდხანს ვისაუბრებთ. თითქმის მთელი მისი ცხოვრება გავიხსენებ.

რამაზ თვისი „სისუსტეები“ ჰქონდა, უყვარს ბაგეშვიას თამაში (პატარა ნატა გამანდო: მამიკოსთან დარჩენა უფრო მიყვარს, ბეგრის შემთამაშება), პატარა ბაგეშვიით უყვარს წითელი ფერი, უყვარს ტელევიზორთან ვლდო და ლირიკული, რომანტიკული ფილმების ყურება. ვერ იტანს ორგულიობას, საქმის მიმართ ზერულ დამოკიდებულებას, საოცრად მომთხოვნა სპეცთარი თავის მიმართ...

ესაუბრა ივანე ჩახვაშვილი.



რო თამაშს ახვევს მას. მეც ვერ შემიკავებია ზოგჯერ ტრიბუნაზე თავი. მოედანზე კი უფრო თავისუფალი ხარ — შენი თავის პატრონი.

ახლა ქვეყანაში დიდი ვარდაქმნები მიმდინარეობს. როგორ გესახებათ ვარდაქმნა სპორტში?

— ჩემი აზრით, თვითონ თამაშს ვარდაქმნა არ ჰქონდა. პაიჭაიდან მოყოლებული „დინამო“ სამხრეთ-ამერიკული მსაგის ფეხბურთის თამაშობს და მგონი, კონკრეტულად ამის გამო ვერ არ დამარცხებულა. ვარდაქმნა თვითონ სპორტსმენის დამოკიდებულება სპორტის მიმართ. შხარს უკვე აგრეთვე თვითდაფინანსებაზე გადასვლას. სპორტის ისეთი „სამხარეულო“ აქვს, სხვისი, ვარაუდს ჩარევა არ შეიძლება. კარგად ითამაშებ, გეჩვენა კარგი ანაზღაურება, პრემია. რაც არ უნდა რომანტიკული იყოს, ცხოვრება ყველას გვიანდა. აი, ნახავთ, გუნდებს ძალიან დეპრესიით თვითდაფინანსებაზე გადასვლა.

თქვენ საკავშირო ნაკრების წინაშეც არანაკლები დამსახურება გაქვთ. რით განსხვავდებოდა ნაკრებში ვარჯიში, თამაში, გამარჯვების სიხარული, „დინამოში“ გამოსვლისაგან?

— იმ დროს ნაკრებს მწვრთნელთა სამეუღე ედგა სთავიში — ბესკოვი, ლობანოვსკი, ახალკაცი. ლობანოვსკი იმდენად ტექნიკას არ აქცევს ყურადღებას. მისი აქცენტი ვარდაქმნაზე იყო. მისი აქცენტი ტერმინიც ჰქონდა ასეთი: „მოტორი“! „დინამოში“ უფრო ტექნიკას ვხევდით, ბურთის ფლობას, პასებს. იმას კი, სად გამოვლიოდი, ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისე „დინამოში“ გამარჯვებას სხვა ფასს ჰქონდა. სხვა გრძნობა, როცა შენი ხალხი გიყურებს. ნაკრებში გამოსვლა კი სახელია — აი, ნაკრებში ქართველი თამაშობ!



რამაზ, როგორ აფასებთ ვახვილ წლებს, რამეზე ხომ არ გწუხდებათ გული?

— „დინამოში“ 12 წლის თამაშის მანძილზე იმდენს მივაღწიე, რაზედაც ახალგაზრდა კაცს მხოლოდ ოცნება თუ შეუძლია. წლების მანძილზე ფორტუნა უდამოდა თბილისის „დინამოს“ და მასთან ერთად მეც. 1983 წლიდან გუნდს, რომ იტყვიან, ჩაჯარდნა ჰქონდა, იგი ფაქტობრივად დაიშალა. მეც თითქოს თამაშის ხალხის დაგკარგე. ახლაც, როცა ვახალიზებ იმ დროის ამბებს, ვერ ვხვდები, რა დამემართა. თითქოს ამოვიწყებე, გული აღარ მიმიწვიდა ბურთისაგან. არადა, უფრო მეტის გავკეთებ შემიძლო. თუნდაც ის, რომ ფედერაციის კლუბის წევრთა სიაში რამდენიმე საფეხურით ზევით აწვდა შემეძლო, ამისთვის სულ რაღაც რვა ბურთი დამეკლდა.

„დინამოს“ დიდების წლები ასხენით. თქვენის აზრით, რა იყო იმ წარმატებების საფუძველი?

— გუნდში ერთბაშად საუკეთესო მოთამაშეებმა მოიყარეს თავი, რომელთაც ნიკიტი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი ხელმძღვანელობდა. თავდადებით ვებრძოდით, ერთმანეთს ვერ ვიკლავდით. ჩემი გამოცდილებით გეტყვი — 1977 წელს გუნდში რომ მომიყვანეს, თითქმის მთელი სეზონი რეზერვში ვაჯერებდი. ცენტრფორვარდის აფილზე ორი კანდიდატურა იყო — ჩემი და ჩელაბაძისა. თუმცა რეზოსთან ცხოვრებაში ვხედავობრბოდი, მინდორზე ერთმანეთს არაფერს ვუთხობდით. მოკვლედ, განსაღ კონკურენცია იყო. ჩემი აზრით, აი, ასეთი სპორტული შეტრეკობა ვახლდათ მაშინდელი „დინამოს“ სიძლიერის ერთ-ერთი მიზეზი.

იმ წელიწადს, რეზერვში რომ ვაჯერებდი, ქუთაისში ჩასვლისა მრცხველია. ფეხბურთელს, რომელიც თბილისის „დინამოში“ თამაშობს, უნდა ჰქონდეს თავმოყვარეობა და თუ მინდორზე გამოდის, უნდა ითამაშოს მთელი გულით, ხალხით, მას უნდა ჰქონდეს პატივისცემა პარტნიორებისა თუ მაყურებლის მიმართ. ეს თვისებები ვახლდა მაშინდელი „დინამოს“ ერთ-ერთი მთავარი კომპონი.

ახლანდელ „დინამოზე“ რას იტყვით?

— გუნდში აღარ არის ის კონკურენცია, ზემოთ რომ ვახსენე. არც ერთიანია. სულსიკეთებაა. არადა ნიკიტი ბიჭები არიან. ახლა მათ ტალანტს დახვეწა, ასე ვთქვათ, ვაშლაშინება სჭირდება. დიდი შრომა საჭირო. თავიდან გუნდში რომ მივიღო, მე გაორკეცებულად ვაჯერებოდა, ბეგრის შემთამაშადი, რათა

№ 1 ფეხბურთელი — ალექსეი მიხაილიჩენკო

პირველი წლის დასასრულს ტრადიციისამებრ ვლინდება სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი. ყოველსაერთო გამოცემა „ფეხბურთელი“ რეფერენდუმში მონაწილეობენ ფეხბურთის მიმოხილველები, კომენტატორები, ჟურნალისტები. საუკეთესო ფეხბურთელები ვლინდებიან ხმათა უმეტესობით. სსრ კავშირის 1988 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს იეგორ „დინამოს“ და სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშე, ოლიმპიურის ჩემპიონი, ვერბოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზორი ალექსეი მიხაილიჩენკო. ვარდა ამისა, ა. მიხაილიჩენკო უცხოეთში ყურნალისტებმა დაასახელეს ვერბოსაში მე-

თხე ფეხბურთელად პოლანდიელთა სამეუღლის მ. ვან ბასტენის, რ. გულთისა და ფ. რიკიარდის შემდეგ. „ფეხბურთელი-30-ის“ 1988 წლის რეფერენდუმში ა. მიხაილიჩენკო 155 ანკეტაში დასახელებულია პირველ ადგილზე, 5 ანკეტაში მეორე ადგილზე და 4 ანკეტაში — მესამეზე, რამაც საბოლოოდ 479 ქულა შეადგინა. მეორე ადგილზე ვაგვიდა მოსკოვის „სპარტაკის“ მექარე რინატ დასაევი, რომელიც ამჟამად ესპანეთის კლუბ „სევილიაში“ გამოდის. მან 109 ქულა დააგროვა. მესამე ადგილზე, მესამე ადგილზე, მოსკოვის სპარტაკელი ფედორ ჩერენკოვი. მან 81 ქულა დააგროვა.



50-ზე მეტი როგორც იტალიური პრესა იუწყება, ამჟამად ამ ქვეყნის პირველი ლიგის 18 გუნდში 50-ზე მეტი უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს. მათგან 14 ბრაზილიელია: კარეკა, ტიტა, კასარანდე, მიუელი, ანდრადა, რენატო, ჟენიორი, ალემარ და სხვები. ალექსეი მიხაილიჩენკო როდესაც ინგლისურმა საფეხბურთო კლუბმა „ნიუკასლ იუნაიტედი-

მა“ შეიძინა ცნობილი ბრაზილიელი თავდამსხმელი მირანდინია, ბეგრმა ექსპერტმა ეს უხვირო არჩევანდ ჩათვალა. მიჩინვდენ, რომ ბრაზილიელი ვერ შეეჩვეოდა ბრიტანულ სტილს, მაგრამ ეს აზრი არ გამოართლდა. მირანდინიამ მალე აუღო ალლო ინგლისური ფეხბურთის სპეციფიკა და ჩემპიონატის დასაწყისიდანვე არაერთი გოლი გაიტანა.

1989 წლიდან... როგორც იტალიური გაზეთი „სტამბა“ იუწყება, პირველი უცხოელი ფეხბურთელი იტალიის ლიგაში 1929 წელს ჩაირიცხა. აქედან მოყოლებული დღემდე უცხოელ მოთამაშეთა რიცხვი 470-ს უდრის, რომლებიც 40 ქვეყნის წარმომადგენლები არიან. ყველაზე მეტი არგენტინელია — 124, შემდეგ ბრაზილიელი — 67, ურუგუაელი — 52 და ა. შ. ეროვნული შორის ყველაზე მეტი (32) იუგოს-

ლაიელია. 1988 წელს იტალიის ლიგაში პირველი, საბჭოთა ფეხბურთელი ჩაირიცხა — ა. ზავაროვი.

მინც ახლოვდება ლონდონის ვაზეთმა „სანამ“ გადაწყვიტა თავისი მკითხველებისთვის ერთადერთი კითხვა მიეცა, სადაც მათ საკუთარი დამოკიდებულება უნდა გამოეხატათ ერთგულ ნაკრების მწვრთნელ იბო მობისონისადმი. ბ. რობსონს, როგორც ცნობილია, თითქმის ყველა ინგლისელი ექსპერტი ამჟამად მკაცრად აკრიტიკებს. სინტერესოა, რომ გამოკითხულთა 52-მა პროცენტმა რობსონს მაინც ნიღობა გამოუცხადა. მის შესაძლებელ შემცველთა შორის ყველა „ნორტემპტონის“ ულვას სათავეში. კანდიდატთა შორის ვხვდებით კვინი კვიანის გვარსაც.

თქვენ

რას იტყვიან კოლეგები?

დამსახურება და სრულყოფილი განვითარებისათვის, ვისთვისაც ყველა უფროსი ადამიანი, ვისაც ეს საკმე აქვს, რომ ფართოდ გაუღონ საბორტული სექციების კარი ბაჭყალი, უფრო აქტიურად ემზადონ სკოლაში მომავალი ჩემპიონები...

დავით დავითაშვილი — გაზეთ „ვეფრიანი ტბისის“ სპორტული მითმომხილველი:

1. სპორტული წლის ერთი, ასე ვთქვათ, ზედპირული გადახედვაც კი საქართველოს იმისათვის, რათა დაერწმუნდეთ განვითარებული სპორტის წარმატებაში. ავიღოთ XXIV ოლიმპიური თამაშები სამხრეთ კორეაში, დაველოდოთ მას ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებები მსოფლიოს, ევროპისა და ჩვენი პარაოლიმპიკების მიღწეულმა არამც და არამც არ უნდა ავგვიხილოს თვალში არსებული ნაკლოვანებებზე, თუნდაც იმაზე, რომ ჩვენი სეროტიული მოდიკატორები სპორტის მთელ რიგ სახეობებში, მასობრივ სპორტში, ფიზკულტურაში...

2. ახალი სპორტული სეზონი საინტერესო და მრავალმხრივი იქნება. ვისურვებდი ასევე მრავალმხრივი და საინტერესო იყოს იგი არა მარტო ჩვენი ალიანტული ოლიმპიკებისათვის, არამედ მასობრივი სპორტის წარმატებებისათვის, ფიზკულტურის განვითარებისათვის, რომ ცალკეულ ენთუზიასტებს მთელი არმია გაუყავს.

3. ჩვენს გაზეთს არაერთხელ წამოუყენებია თბილისის სპორტული ცხოვრების აქტუალური პრობლემები. ხშირად დადგინდა, რომ არასაკმარისი სპორტსმენები, დაგვიწერია უხარისხო ინტერვიუები, რაც არაერთხელ შემთხვევით არ აკმაყოფილებს თითქმის მილიონახევრიანი ქალაქის მოსახლეობას. მაგრამ მოდი თვალსაზრისით გულახდილად — განა ყველა არსებული სპორტული სარბიელი რაციონალურად გამოიყენება? სამწუხაროდ, არა! ჩვენი გაზეთი გულსტრეკით წერდა სასკოლო სპორტის პრობლემებს, რომლებიც გამოკვეთილია საბავშვობიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი არ შეცვლილა. მინდა გულწრფელად ვიწამო, რომ ახალი წლიდან ეს პრობლემა ბოლოს და ბოლოს პრობლემა აღარ იქნება.

ინფორმაცია

ანკორიჯი (აშშ). გრძელდება ახალგაზრდა ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრებმა მესამე შეხვედრა მოიგო შვეიცარიის გუნდთან (3:2) და შეინარჩუნა ლიდერობა. სამი გამარჯვება აქვთ კანადის ჰოკეისტებსაც, რომლებმაც ბოლო ტურში აშშ-ს ნაკრებს აჯობეს — 5:1. სხვა მატჩები დამთავრდა ასე: ფინეთი — ნორვეგია 9:3, ჩეხოსლოვაკია — გერ 11:1.

თბილისი. საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ოლიმპიურმა ნაკრებმა მოიგო „სასკანდინავიის“ თასი. საერთაშორისო ტურნირის ფინალში, რომელიც კანადაში, სსსკანდინავიის პროვინციაში ჩატარდა, მათ მოუგეს ჩეხოსლოვაკიელ ოლიმპიელებს — 12:4.

პლმ. „როსტელმშის“ ხელბურთულმა ქალებმა გაიმარჯვეს საერთაშორისო ტურნირში. მათ 6 თამაშად ყველა მოიგეს, მათ შორის გადამწყვეტი მატჩი ტსკ-სთან (ბერლინი) — 20:17. გაუნასის „უალიგირისმა“ მე-5 ადგილი დაიკავა.

პალონი. ჩელობისკის „პოლიოტის“ ხელბურთულმა მეორე ადგილი დაიკავა ვერის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. პირველ ადგილზე ლაიფციგის გუნდი გვიდა.

დაემატის მიწურულს ბაკურიანს ესტუმრნენ ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლები ფრისტილში (თავისუფალი სარიალი თბილისიდან). აქ შეიკრიბნენ სპორტსმენები რიგიდან, მოსკოვიდან, ტაშკენტიდან, კიევიდან, კემეროვოდან, მინსკიდან და სხვა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სსრ კავშირის 1989 წლის თასის გათამაშებაში (მეორე ეტაპი).

შეჯიბრება სამივე დისციპლინაში ჩატარდა: სათბილაშორი ბალეტი, მოგული (ბორცვებიან ფერდობზე სრილი) და ტრამპლინიდან აკრობატული ხტომები.

8 მონაწილე ჯერ შორის ბალეტში საუკეთესო იყო 17 წლის ალექსანდრე სუიუროვი ჩუხოვოიდან (პერმის ოლქი), ხოლო 17 წლის შორის — მოსკოვიელი ელენა ბატალივა.

აკრობატიკაში ყველას აჯობეს სტაგროპოლემა სპორტსმენებმა

უკვე მეორე წელია „სპრინტის მეფის“ — ბენ ჯონსონის ჩრდილო ატყვია „სპორტის დედოფალს“, ოლონდ ეს სხვადასხვა შექ-ჩრდილებია.

თუ 1987 წელი შევიდა ისტორიაში, როგორც 100 მეტრიან დისტანციაზე ბენ ჯონსონის უბრწყინველესი რეკორდით (9,83) ნიშანდებული, 1988 წელი აღინიშნავს მისი სირცხვილითა და თავაფდასხმით, თუმცა ჯონსონის რბენა სეულში უფრო სრულყოფილი იყო, ვიდრე ერთი წლის წინ, რომში.

მისი წარმოდგენის შემდგრადი გამარჯვება 100 მეტრზე რბენაში

ფრისტილი კოსტაპორაზე

— იური სამუხომ და ელენა მანეიკომ სტარტზე ამ სახეობაში სულ 37 მონაწილე გამოვიდა, რომელთაგან 15 ქალი იყო.

ფრისტილის ბოლო სახეობაში — მოგულიში, რომელიც 1992 წლის ზამთრის ოლიმპიადის პროგრამაში შეტანილი, თავი ისახელებს 18 წლის მოსკოველმა ანა ვერშინინამ და რიგგლემა სტანისლავე სოკოლენკომ.

ასანდინავია, რომ ყველა მონაწილეს მოეწონა ბაკურიანი — საკავშირო სპორტომიტეტის წარმომადგენლებმა და ქვეყნის ნაკრებების ხელმძღვანელებმა გადამწყვეტილი აქვთ ყოველწლიურად დეკემბერში სწორედ ბაკურიანში გამართონ ეს ტრადიციული შეჯიბრება.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპუ-

ბლიკის ნაკრები ფრისტილში საკავშირო თასის გათამაშების დღეებში ბაკურიანში თავის პირველ ოფიციალურ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე იმყოფებოდა. ცხადია, მისი წევრები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს უძლიერეს ფრისტილისტთა ასპარეზობას. აღნიშნულ შეკრებებში ძირითადად ტელევიზიით იცნობდნენ სპორტის ამ საინტერესო სახეობას, ახლა უშუალოდ თბილისში იგი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა —

რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ილია მჭედიაშვილმა — რეგულარულ შეასრულებინა ჩვენს სპორტსმენებს ტრამპლინიდან ხტობები. მასამოქმედებია აღნიშნული ამ ფაქტს, რომ 8 სპორტსმენიდან ექვსმა (მათ შორის გუნდის ერთადერთმა გოგონამ, სპორტის ოსტატმა სპორტულ აკრობატიკაში, 17 წლის თბილისელმა ირმა გოგინაშვილმა) ზუსტად ისევე შეასრულა უკუმაღაცე, როგორც საკავშირო შეჯიბრების მონაწილეებმა.

„ლელოს“ კორ. რადეციონისა: როგორც ხედავთ, ჩვენში ინერგება კიდევ ერთი საინტერესო სპორტის სახეობა, რომელსაც ფრისტილი ჰქვია. ცხადია, ჩვენი სურვილია ქართულ ენაში დაიძვინოს შესატყვისი ჩვენი ენის ძვირფასი ძვირფასი მკითხველებო, მოგვეწერეთ თქვენი წინადადებები, რომ შევცვალოთ ქართულში სიტყვა „ფრისტილი“ წინასწარ გიხდით მადლობას.



ფლორენს გრიფიტ-ჯონსონი.

აფრიკელებმა, თუმცა ისინი ეთიოპიის ნაკრების გარეშე ასპარეზობდნენ, მინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, პირველ რიგში კენიელ მძლეოსანთა გამარჯვებებით. გაბრიელის მართკოვლებმა, აუიტას წარუმატებლობა ბრაჰიმ ბუტე-იბის წარმატებამ დაფარა, რომელიც პირველობდა 10 კილომეტრზე რბენაში.

საერთოდ, სეულის ოლიმპიადის ბევრი გამოჩენილი მძლეოსნის მარცხით აღინიშნა. ესენი არიან აუიტა, კრემი, მოზესი, რენოლდსი, ტომპსონი, კრისტიანენი, კოსტალიოვა...

დედოფალი მეფის ჩრდილში

მაღე კრახით შეიცვალა — როდესაც ცნობილი გახდა დღისგანკორტროლის შედეგი, რომელშიც გვამცნო, რომ იამიკური წარმოშობის კანადელ სპრინტერს აკრძალული პრეპარატი — ანაბოლური სტეროიდი გამოუყენებია.

ჯონსონის საქმე თაღლითობის უცხადესი მაგალითი იყო და მსოფლიო მძლეოსნობის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს გაეძვედინათ ყველა შარლატანი, რომელიც ასეთ ცნობილ სპორტსმენებს იყენებდნენ თავიანთ ბნელ საქმეებში, მაგრამ თვითონ შეუმჩნეველი რჩებოდნენ. აღიძრა ექვი, რომ სხვა ცნობილი ათლეტებიც ღრმად არიან ჩაბრუნული თანამედროვე ალქიმიკოსთა მაქინაციებში.

კანადა, რომლისთვისაც ჯონსონის საქმე იმას უდრიდა, რაც „ჩე-ლენჯერის“ კატასტროფა ამერიკელთათვის, ამ ამბავს აღწვფოთების ტალღით გამოეხმაურა. მას მაღე მოჰყვა კატეგორიული გადამწყვეტილება, რომ გაეძვედინათ სპორტიდან ის ხალხი, რომლებიც აკრძალული აბეზით ამარაგებდნენ სპორტსმენებს.

ჯონსონის მწვრთნელი ჩარლი ფრენსისი და ექიმი ჯორჯ მართა ასტაფანი ჯონსონის საქმის გამოძიების დამთავრებამდე დასაჯეს.

მსოფლიო სპორტი ამჟამად პრობლემების წინაშე დგას — ან სწრაფად და ენერგიულად უნდა იმოქმედოს დოპინგის ბაცილის სამოსადირველს, ან ჩაეფლოს ამ ქაობში და დაეშვას ძალოსნობის არასახარბიელო მდგომარეობამდე, რომელიც „დოპინგ-სპორტად“ აღიარეს მას შემდეგ, რაც სეულში ექვს ძალოსანს, მათ შორის ოთხ ჩემპიონს „წითელი ბართი“ უჩვენეს.

სეულის ოლიმპიადის ამერიკელთა იმედების ზრდით აღინიშნა, თუმცა 400 მეტრზე უფრო გრძელ მანძილებზე მხოლოდ 24 წლის კიმ ვალაპერმა შეძლო ჯილდოს მოპოვება — ეს იყო ვერცხლის მედალი 800-მეტრიან დისტან-

ოლიმპიური წლის შედეგები

დაპირ შოქში ჩააგდო ლიდრები. ფლო-ჯო, როგორც ეძახიან ფლორენს გრიფიტ-ჯონსონს, და მისი მული კევი ჯონინერ-კრისი — ყველაზე გამოჩენილი მძლეოსანი ქალები იყვნენ ოლიმპიადისა. ფლო-ჯომ, სილამაზის დედოფალმა ოლიმპიადის, სამი ოქრო-



ბენ ჯონსონი.

სა და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. მან ერთი დღის განმავლობაში დაამხო მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე, გააუმჯობესა ოლიმპიური მძლეოსნობის უფროსი მოკლე მანძილებზე. ერთდერით, რაც მან ვერ გააკეთა, ის იყო, რომ ვერ გაუსწრო შესანიშნავ საბჭოთა სპორტსმენ ოლგა ბრიზინას 4X400 მეტრზე ამანათრბენში. ეს რომ მოეხერხებინა, ფლო-ჯო გაიმეორებდა

„მეტირევი პოლანდიელის“, თან ბლანკერ-კოენის მიღწევას, რომელმაც ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა ერთ ოლიმპიადისზე.

კრინერ-კრისიმ თავისი „დუბლოით“ (გამარჯვა შეიძღვიდა და სიგრძეზე ხტომაში) გაიმეორა თავისი თანამემამულის ჰაროლდ ოსბორნის შედეგი, რომელიც 1924 წლის თამაშებზე სიმალეზე ხტომასა და ათვიდში პირველობდა, ამასთან ჯონინერმა გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი შეიძღვიდა მიუხედავად იმისა, რომ მუხლი ჰქონდა დაზარებული.

ლუისმა კი, რომელმაც ჯონსონის დისკვალიფიკაციის შემდეგ 100-მეტრიან დისტანციაზე ოქროს მედალი მიიღო და შემდეგ წარმატებით გამოვიდა სიგრძეზე ხტომაშიც, შემდეგ უკვე ვერაფერი გააყვო 200-მეტრზე და ისტანციაზე.

19 წლის სტივ ლუისი 400 მეტრზე რბენაში მძლეოსნობის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. 29 წლის ენდრიუ ფილისმა კი გაუყვია ედვინ მოზესის გაკვიანურებული „მეფობა“ 400 მეტრზე თარჯინენში.

გდრ-ის სპორტსმენები ამჯერად რეალური კი არა, უფრო პოტენციური ჩემპიონებით გამოდიოდნენ, თუმცა კრისტინ შენკმა სიმალეზე ხტომის ძველმოდური სტილით მძლეოსნობის ისტორიაში ათვიდში პირველი ოქროს მედალი მოუტანა თავის ქვეყანას.

სერგეი ბუბკამ დაამტკიცა, რომ იგი უდიდესი სპორტსმენია. ჰოკეით ხტომაში მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანმა ოლიმპიადის უმაღლესი ჯილდოც დაიმსახურა, ამასთან, მისი მეთაურობით საბჭოთა სპორტსმენთა სამეულმა სამმაგი წარმატება იხილა.

Table with 3 columns: Name, Points, and other details. Title: „სპორტსმენის“ მეთაური ბარბარა (7-8 იანვარი)